ხელშეკრულება

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

ქ. ზუგდიდი *4 ივნისი 2012 წელი.*

ერთის მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. სოფ. ოდიშის მე-2 საჯარო სკოლა,** (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქ. კიკალიშვილი სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ინტერიერი"-ს სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გ. შონიას სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი" ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო „შემსყიდველი" ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შრულებული სამუშაოს ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საგანია 2012 წლის 4 ივნისი №17 ხელშეკრულების თანახმად მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ოდიშის №2 საჯარო სკოლის სახურავის აღდგენა ტალღოვანი მოთუთიებული ფურცლებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს:

2.2 2007 (ორი ათას შვიდი) ლარი

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება 2012 წლის 4 ივნისიდან 2012 წლის 24 ივნისამდე, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

3.2 სამუშაოს შესრულების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის"

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ (ფორმა№2, ფორმა№3, მიღებინაბარების აქტი, გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების შემდეგ.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ სააბისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოს მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით.

5.2 სამუშაოს დაწყებისათვის შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ავანსის სახით მთლიანი ღირებულების 50%. გადახდა მოხდება საბანკო გადარიცხვით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 დარჩენილი თანხის ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 *„შემსყიდველი" ვალდებულია:*

6.1.1 უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.1.2 შეუქმნას „მიმწოდებელს" სამუშაო პირობები;

6.1.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 *„შემსყიდველი" უფლებამოსილია:*

6.2.1 „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

6.2.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება;

6.2.4 „მიმწოდებლისაგან" მოითხოვონ შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 *„მიმწოდებელი" ვალდებულია:*

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 „შემსყიდველს" წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.4 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოდან;

6.3.5 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;

6.3.6 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.7 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 *„მიმწოდებელი" უფლებამოსილია:*

6.4.1 „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. გარანტია

11.1 შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადაა საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,5 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

12.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია (ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

16.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის" მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, რომელთა შემადგენლობის შესახებ წინასწარ ეცნობება „მიმწოდებელს."

16.3 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

16.4 „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

17. დასკვნითი დებულებანი

17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარდმავების სურვილით.

17.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

17.6 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლები 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

17.7 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს სამუშაოს დასრულებამდე.

17.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად I (ერთი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ს.ს.ი.პ. სოფელ ოდიშის მე-2 საჯარო სკოლა მისამართი: სოფ. ოდიში საინდენტიფიკაციო ნომერი 220355238 სკოლის დირექტორი ქ. კიკალიშვილი საბანკო რეკვიზიტები სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22 ანგარიშის № GE 08LB0121180703468000	შ.პ.ს. „ინტერიერი" საიდენტიფიკაციო კოდი: 220369107 მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსტაველის ქ №87 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ზუგდიდის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ანგ. №GE14LB0113138696024000
სსიპ ზუგდიდის სოფ. ოდიშის მე-2 სკოლის დირექტორი	*შ.პ.ს. „ინტერიერი" -ს* *დირექტორი:*
/ქ. კიკალიშვილი/	*/გ. შონია/*